MES 8 23 0000188083

16/02/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 16.02.2023
სხდომის დაწყების დრო: 14:15
სხდომის დასრულების დრო: 17:10
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ირინა გველესიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
3. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
4. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
5. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
6. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;

7. **თამარ სირაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
8. **ეკატერინე შაკიაშვილი -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
9. **გურანდა ჭელიძე -** შპს ,,კავკასიის უნივერსიტეტის" პროფესორი;
10. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
11. **დავით ჩოჩიშვილი -** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
12. **დავით ტეფნაძე -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი).
13. **ანზორ ბერიძე -** სსიპ- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	**ნინო ღაჭავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	**ანა ჯუღელი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ნინო ჟვანია	**სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I; II
2.	მაკა ლაშხია		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I; II
3.	ნინო მატარაძე		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი	I; II
4.	ქეთევან დარსანია			I; II

			მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი	
5.	ელენე კიკალიშვილი		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი	I; II
6.	თამარი გეთიაშვილი		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	I; II
7.	თამარ ცაგარელი		გრაფიკის ხელოვნება-კომპიუტერული, დაზგური, გამოყენებითი (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) პროგრამის ხელმძღვანელი	I
8.	რეზო მარსაგიშვილი		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
9.	პაატა ჩხეიძე		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
10.	მზაღო დოხტურიშვილი		პროფესორ-ემერიტუსი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
11.	ლევან ცაგარელი		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
12.	ირინა ლორთქიფანიძე		ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
13.	ელისო ელისაშვილი - კანცლერი	**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი**		III, IV,V
14.	გიორგი მათიაშვილი - რექტორი			III, IV,V
15.	მარიკა დარბაიძე - კანცლერის მრჩეველი			III, IV,V
16.	ლალი ჩაგელიშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი			III, IV,V
17.	გივი ლობჟანიძე - სამართლის ფაკულტეტის დეკანი			III, IV,V

18.	ნინო ბოჭორიშვილი - სამართლის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი			III, IV,V
20.	რომან შენგელია - კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი			III, IV,V
21.	ვენედი ბენიძე - სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი			III, IV,V

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ირინე დარჩია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
2	თეონა ბერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
3	გიული კალატოზიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	მარინა არუშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	მარიამ გორგოძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	მარინე ხიზანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
8	მაია ლევანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
9.	ზვიად როგავა	(ჩაერთო „ზუმით“)	III; IV
10.	მაკა კარტოზია	(ჩაერთო „ზუმით“)	III,IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გრაფიკის ხელოვნების - კომპიუტერული, დაზგური, გამოყენებითი (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ანგლისტიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)", "გამოყენებითი გერმანისტიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)", "საფრანგეთისმცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)", "რუსისტიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო და "ანგლისტიკის" და "რომანული ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის "კერძო სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის "სისხლის სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა .

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
დიახ
დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გრაფიკის ხელოვნების - კომპიუტერული, დაზგური, გამოყენებითი (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ანგლისტიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)", "გამოყენებითი გერმანისტიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)", "საფრანგეთისმცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)", "რუსისტიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო და "ანგლისტიკის" და "რომანული ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის "კერძო სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის "სისხლის სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5.შპს გურამ თავართქილაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო, საგანმანათლებლო პროგრამისთვის 6-თვის თავზე ანგარიშის წარდგენის ვალდებულების საკითხის განხილვა.

1 .პირველი საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გრაფიკის ხელოვნების - კომპიუტერული, დაზგური, გამოყენებითი (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გრაფიკის ხელოვნება-კომპიუტერული, დაზგური, გამოყენებითი (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული #449, 09.12.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	დონე 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	N/A
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება* *კოდი მითითებულია 2022 წლის 30 დეკემბრამდე არსებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0162, ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ირინა ლობჟანიძემ .

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა ჯგუფის თავჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო მასალას და ძირითადი პრობლემა კომპიუტერული გრაფიკის მიმართულებით იყო. თავჯდომარის განმარტებით, პრობლემის მთავარი მიზეზი გახლდათ შემდეგი: პროგრამის დასახელებაში მითითებულია ''გრაფიკა '' შემდეგ კი დაკონკრეტებულია კომპიუტერული და გამოყენებითი გრაფიკა. ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარის თქმით, პროგრამის სახელწოდება ქმნის განწყობას, რომ სტუდენტმა უნდა შეისწავლოს გრაფიკული ხელოვნების მთლიანი ეტაპები , რადგან გამოყენებით და დაზგურ გრაფიკას საფუძვლად უდევს კომპიუტერულ გრაფიკა. თავჯდომარემ დააკონკრეტა, რომ თანამედროვე სამყაროში გრაფიკული ხელოვნება მოიაზრება ზემოხსენებული სამი კომპონენტით, თუმცა კომპიუტერული გრაფიკა განსხვავდება თავისი ''წინაპრებისგან'', ვინაიდან მან აიღო გარკვეული ნიშნები პრაქტიკული ხელოვნებიდან, თუმცა აუდიო-ვიზუალური ხელოვნების გავლენით ჩამოყალიბდა სხვა სფეროდ. ექსპერტის თქმით, პროგრამის სახელწოდებაში გამოტანილი იყო სამივე მიმართულება. მიზნებში კი საუბარი იყო კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების აღზრდაზე, რომლებსაც შეეძლებათ დასაქმება მედიის მიმართულებით. რაც შეეხება შედეგებს, არ ჩანდა კომპიუტერული ტექნიკის მნიშვნელობა. აქვე აღნიშნა, რომ მედია ხელოვნება არ არის მხოლოდ ბეჭვდითი მედია, მედია მოიცავს როგორც სოციალურ მედიას, ისე კინოსა და ტელევიზიას. ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარის განმარტებით, ზემოაღნიშნული გარემოებებისა და ფაქტორების გათვალისწინებით, სწავლის შედეგებში უნდა ყოფილიყო ასახული რა ტიპის სპეციალისტი ჩამოყალიბდებოდა გრაფიკის მიმართულებით . ექსპერტთა ჯგუფმა, ბუნდოვნად მიიჩნია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოზიცია, რომ პროგრამა არ ითვალისწინებდა სწავლებას სრულად კომპიუტერული გრაფიკის მიმართულებით, ეს იყო მხოლოდ ტექნოლოგია, რომელიც გამოყენებული იქნებოდა დაზგური და გამოყენებითი გრაფიკის მასალის შესაქმნელად. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, რომ პროგრამის მიზნებში დაკონკრეტდეს კომპიუტერული გრაფიკის რა სეგმენტის გამოყენება ხდება ან ხელახლა გაიწეროს პროგრამის მიზნები. ექსპერტებმა ეჭვქვეშ დააყენეს საკითხი იმის შესახებ, რამდენად მაპროფილირებელია კომპიუტერული გრაფიკის მიმართულება პროგრამისთვის. მათ დააფიქსირეს მოსაზრება, რომ თუ ეს არ არის მაპროფილებელი მიმართულება, მაშინ დასახელებაში არ უნდა იყოს მოცემული. ეს შესაძლოა იყოს დამხმარე კურსი. მაგალითად , როგორც კინო-რეჟისურაში ისწავლება კომპიუტერულ გრაფიკა, თუმცა ეს უკანასკნელი ცხადია არ არის ასახული პროგრამის სახელწოდებაში.

ასევე, ექსპერტებმა გამოთქვეს კრიტიკული მოსაზრება აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან დაკავშირებით. როგორც აღინიშნა, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 14 მოწვეული და 5 აკადემიური პერსონალი. ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ იმ გარემოებასაც გაუსვა ხაზი, რომ პროგრამაში ჩართული 5-ვე აკადემიური პერსონალი სახვითი ხელოვნების მიმართულებას წარმოადგენს, მაშინ როდესაც პროგრამის მიზნები აქცენტირებს, რომ კურსდამთავრებულები შეძლებენ შესაბამისი მომსახურების გაწევას მედია ხელოვნების მიმართულებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გაიცა რეკომენდაცია, რომ უმჯობესია პროგრამაში გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა. ექსპერტებმა ასევე გასცეს რეკომენდაცია, სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით. მათი განმარტებით პროგრამაში მოცემული იყო 2000 წელს გამოცემული სახელმძღვანელოები. ექსპერტთა ჯგუფის

თავჯდომარემ დააფიქსირა პოზიცია, რომ 10-20 წლის წინანდელი სახელმძღვანელოების გამოყენება არასწორია. ექსპერტებმა ისაუბრეს სილაბუსებთან დაკავშირებითაც. მათ აღნიშნეს, რომ გრაფიკასთან არის გაერთიანებული დაზგური ხელოვნება. მნიშვნელოვანია, თანმიმდევრულად იყოს განვითარებული ისეთი პროგრამები, რომელიც საჭიროა, ვებ-დიზაინისთვის, წიგნის გაფორმებისა და პოსტერების დაფიქსირებისთვის . თუკი ეს არ იქნება თანმიმდევრული ასეთ შემთხვევაში ეს - აცდენაა. ექსპერტებმა ასევე აღნიშნეს, რომ პროგრამის ფარგლებში ისწავლება ხატვა, რომელიც ფაქტობრივად არ სჭირდება კომპიუტერულ გრაფიკას.
სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს თავჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილი დაინტერესდა პროგრამაზე არსებული სტუდენტების რაოდენობით, თუმცა ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ მათთვის გაზიარებული დოკუმენტაცია არ იძლეოდა სტუდენტთა რაოდენობის დადგენის შესაძლებლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მაკა ლაშხიამ იმსჯელა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე და თქვა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა ის დოკუმენტაცია, რომელიც გათვალისწინებული და მოთხოვნილი იყო ანგარიშის მიხედვით. ასევე, აღნიშნა რომ დასახელებული პროგრამის სახელწოდებაა -„გრაფიკის ხელოვნება“ (დაზგური, გამოყენებითი და კომპიუტერული). კომპიუტერული გრაფიკა არ არის, არც ცალკე მიმართულება და არც კვალიფიკაციაზე გამსვლელი მოდული. დაწესებულების წარმომადგენელმა დააფიქსირა მოსაზრება, რომ პროგრამაში კონცენტრირებულია ზემოაღნიშნული სამი მიმართულება, რომელიც გადის ხელოვნების ბაკალავრის კვალიფიკაციაზე. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თქვა, რომ პროგრამაზე ამ ეტაპზე არის 225 სტუდენტი . აკადემიური კვალიფიკაციის მქონე პროფესორი კი - 5. პროფესორები პროგრამაზე შერჩეულნი არიან კვალიფიკაციის მიხედით . პროგრამა დიდი ხანია არსებობს უნივერსიტეტში და მობილობებისა და ჩაბარების მსურველთა მხრივაც პოპულარულია . პროგრამის მიზანსა და შედეგში არ წერია, რომ უნივერსიტეტი კომპიუტერული გრაფიკის მიმართულებით, მედია ხელოვნებისთვის ან კინო ხელოვნებისთვის ამზადებს სტუდენტებს . ეს არის „გრაფიკის ხელოვნება“ ზოგადი სახის საბაკალავრო პროგრამა, რომელიც ხელოვნების ამ სახეობებში იძლევა შესაბამის კომპეტენციას
.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებსა და რჩევებთან დაკავშირებით, ისაუბრა პროგრამის ხელმძღვანელმაც. მან აღნიშნა, რომ ის რეკომენდაციები, რომელიც ტექნიკური ხასიათის იყო უკვე გათვალისწინებული და გასწორებულია . რაც შეეხება კომპიუტერულ გრაფიკას, გრაფიკის ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა, თამარ ცაგარელმა გააკეთა ციტირება ბრიტანული დარგობრივი სტანდარტებიდან, რომელიც მისი თქმით გაზიარებული იყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სახვითი ხელოვნების დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, სახვითი ხელოვნების დარგის საგანმანათლებლო პროგრამები შეიძლება იყოს ინტერდისციპლინური და მულტი-დისციპლინური, რაც დამოკიდებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მისიაზე, არსებულ ადამიანურ და მატერიალურ რესურსებზე, შესაბამისი დაწესებულების ან სტრუქტურული ერთეულის ტრადიციასა ან განვითარების სამომავლო ხედვაზე, არსებულ ან დაგეგმილ საერთაშორისო თანამშრომლობაზე, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და სხვა ფაქტორებზე. პროგრამის ხელმძღვანელმა მოახდინა საკუთარი გამოცდილებისა და ისტორიის

გაზიარება და აღნიშნა, რომ პროგრამა არ ამზადებს მულტი-მედია დიზაინერებს. კურსდამთავრებულები არიან სახვითი ხელოვნების წარმომადგენლები, მხატვრები, გრაფიკოსები, რომლებსაც გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც გათვალისწინებულია დაზგური გრაფიკის რომელიმე სახეობაში , გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც აქვს ხატვასა და ფერწერაში აქვთ კიდევ 21-ე საუკუნის ინსტრუმენტები. მისი განმარტებით, ეს არის პროგრესი. პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე, ისაუბრა ხატვის კურსების სწავლებაზე. მისი განმარტებით, პირველ სასწავლო წელს სტუდენტი, რომელიც ჩაირიცხება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული კურსებიდან სწავლობს საგანს „პირველი ნაბიჯები სახვასა და ფერწერაში I- მარტივი ობიექტები"და მეორე სემესტრში პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში II -რთული ობიექტები". თავდაპირველად, სტუდენტებმა შეიძლება არ იცოდნენ ხატვა, თუმცა ჰქონდეთ სურვილი. ისინი პირველი ნაბიჯებიდან, მარტივი დავალებებით იწყებენ და თანმიმდევრული გართულების სისტემით ამთავრებენ პირველ სემესტრს . თამარ ცაგარელის თქმით, სტუდენტებს აქვთ ძალიან კარგი შედეგები. სასწავლო წლის ბოლოს ისინი უკვე მზად არიან აირჩიონ სხვადასხვა კომპოზიცია და გადავიდნენ ხატვისა და ფერწერის უფრო რთულ საფეხურზე, რომლის სახელწოდებაა „ხატვისა და ფერწერის სტუდიური კურსი".
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჟვანიამ დააყენა შუამდგომლობა, რომ გადაწყვეტილება ამ პროგრამასთან დაკავშირებით ძალაში შევიდეს 2023 წლის 16 თებერვლიდან.
საბჭომ თავჯდომარემ ექსპერტთა ჯგუფს მიმართა შეკითხვით, არსებობდა თუ არა დასაზუსტებელი საკითხები კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.
ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას თავად აქვს ჩანაწერი, რომ ამზადებს კონკურენტუნარიან და მრავალმხრივი კომპეტენციების მქონე გრაფიკოს, რომელიც შეძლებს მედია ინდუსტრიის სფეროს მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ეს ფორმულირება უკვე გულისხმობს მედია ინდუსტრიაში შემავალ ყველა სფეროს, იქნება ეს ბეჭვდითი მედია სამაუწყებლო, ინტერნეტ მედია, კინო, ტელევიზია და ა.შ. ექსპერტთა თქმით, ეს ფორმულირება პროგრამის სახელწოდებასთან მიმართებაში იძლევა იმის შეგრძნებას, რომ პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კომპიუტერულ გრაფიკას. ასევე, ექსპერტის განმარტებით, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით, მოთხოვნა იყო, რომ პროგრამა გადასულიყო „სახვითი ხელოვნების ნაწილში". ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს ასეც მოხდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
თამარ სირაძემ ექსპერტთა ჯგუფს მიმართა შეკითხვით, იმის შესახებ, არის თუ არა შესაძლებელი „კომპიუტერული გრაფიკის" პროგრამიდან ამოღება და პროგრამის სრულყოფილი სახით შენარჩუნება. ექსპერტმა თქვა, რომ მათ გასცეს რეკომენდაცია დაკონკრეტდეს რა მიმართულებით არის გამოყენებული კომპიუტერული გრაფიკა და დაზუსტდეს პროგრამის მიზნებში რიგი საკითხები. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების დაკონკრეტება. გაიცა რეკომენდაცია სწავლების კონცეფცია ხელახლა გადაიხედოს .
თამარ სირაძემ მიმართა შეკითხვით პროგრამის ხელმძღვანელსაც. საბჭოს წევრმა იკითხა, რამდენად პოპულარული იქნება პროგრამა იმ შემთხვევაში თუ ჩამოშორდება კომპიუტერული ნაწილი და გავლენ თუ არა სტუდენტები შესაბამის შედეგზე თუ არ შეისწავლიან/განივითარებენ კომპიუტერული გრაფიკოსის უნარ-ჩვევებს. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ასეთი კუთხიდან არ განუხილავთ პროგრამა, რადგან კომპიუტერული პროგრამების გამოყენების აუცილებლობა აჩვენა ყველა პრაქტიკოს-გრაფიკოსმა. მისი თქმით, შესაძლებელია პროგრამაში რიგი ცვლილებების განხორციელება, მაგრამ არა კომპიუტერული გრაფიკის ამოღების ხარჯზე. რაც შეეხება სათაურს, პროგრამის ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა გარემოებას, რომ პროგრამის სათაური შეიძლება იყოს მარკეტინგული .

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:48 სთ
დასრულების დრო: 14:52 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გრაფიკის ხელოვნების - კომპიუტერული, დაზგური, გამოყენებითი (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას განესაზღვროს 60 კალენდარული დღე, ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების გამოსასწორებლად.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გრაფიკის ხელოვნების - კომპიუტერული, დაზგური, გამოყენებითი" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე დაწესებულებას განესაზღვროს 60 დღიანი ვადა არსებული ხარვეზის გამოსწორების მიზნით .

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გასწორდეს/დაკონკრეტდეს სწავლის მიზნები და შესაბამისობაში მოვიდეს შედეგთან;
- რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს კომპიუტერული გრაფიკის მიმართულებით სწავლის შედეგები;
- რეკომენდებულია, მკაფიოდ ჩამოყალიბდეს სასწავლო პროგრამის სწავლების კონცეფცია;
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „გამოყენებითი გრაფიკა 1: ქართული და ლათინური შრიფტი“ წინაპირობად განესაზღვროს „კომპიუტერული და დაზგური გრაფიკა 2: Adobe Illustrator. გრავიურა მუყაოზე“;
- რეკომენდებულია, განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა;
- რეკომენდებულია, მიღების დამატებით წინაპირობად განისაზღვროს შემოქმედებითი ტურები;
- რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა იზრუნოს კომპიუტერული გრაფიკის მიმართულების აკადემიური პერსონალის პროგრამაში ჩართვაზე.

2.მეორე საკითხი : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ანგლისტიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)", "გამოყენებითი გერმანისტიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)", "საფრანგეთისმცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)", "რუსისტიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო და "ანგლისტიკის" და "რომანული ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ანგლისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) Anglistics (Major/Minor)

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N68, 30.09.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებები(ძირითადი და დამატებითი სპეციალობები: ანგლისტიკა, გერმანისტიკა, ესპანისტიკა, საფრანგეთისმცოდნეობა,იტალიისმცოდნეობა, სლავისტიკა, აღმოსავლეთმცოდნეობა, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ლიტერატურათმცოდნეობა, ქართული ფილოლოგია)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში (BA in English Philology)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	N/A
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი N32, თბილისი, საქართველო კორპუსები A, B, C და D
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი გერმანისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) Applied German Studies (Major/Minor)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N68, 30.09.2011
5		ჰუმანიტარული მეცნიერებები

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	(ძირითადი და დამატებითი სპეციალობები: ანგლისტიკა, გერმანისტიკა, ესპანისტიკა, საფრანგეთისმცოდნეობა, იტალიისმცოდნეობა, სლავისტიკა, აღმოსავლეთმცოდნეობა, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ლიტერატურათმცოდნეობა, ქართული ფილოლოგია)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი გერმანულ ფილოლოგიაში (BA in German Philology)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი N32, თბილისი, საქართველო კორპუსები A, B, C და D
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საფრანგეთისმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) French Studies (Major/Minor)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N68, 30.09.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები: ანგლისტიკა, გერმანისტიკა, ესპანისტიკა, საფრანგეთისმცოდნეობა, იტალიისმცოდნეობა, სლავისტიკა,

		აღმოსავლეთმცოდნეობა, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ლიტერატურათმცოდნეობა, ქართული ფილოლოგია)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ფრანგულ ფილოლოგიაში (BA in French Philology)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი N32, თბილისი, საქართველო კორპუსები A, B, C და D
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	რუსისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) Russian Studies (Major/Minor)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N68, 30.09.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები: ანგლისტიკა, გერმანისტიკა, ესპანისტიკა, საფრანგეთისმცოდნეობა,იტალიისმცოდნეობა, სლავისტიკა, აღმოსავლეთმცოდნეობა, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ლიტერატურათმცოდნეობა, ქართული ფილოლოგია)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე

9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი რუსულ ფილოლოგიაში (BA in Russian Philology)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი N32, თბილისი, საქართველო კორპუსები A, B, C და D
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ანგლისტიკა Anglistics
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N68, 30.09.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული, ფილოლოგია, რომანული ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა (იხ. კურიკულუმი და მიღების დოკუმენტი)
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ინგლისურ ფილოლოგიაში (MA in English Philology)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი N32, თბილისი,

		საქართველო. კორპუსები A, B, C და D
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	რომანული ფილოლოგია Romance Philology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N70, 30.09.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა (იხ. კურიკულუმი და მიღების დოკუმენტი)
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი რომანულ ფილოლოგიაში (MA in Roman Philology)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი N32, თბილისი, საქართველო კორპუსები A, B, C და D
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ირინა ლობჟანიძემ .
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ წარმოადგინა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ანგლისტიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)", "გამოყენებითი გერმანისტიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)", "საფრანგეთისმცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)", "რუსისტიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო და "ანგლისტიკის" და "რომანული ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის ზოგადი მიმოხილვა. ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, თქვა რომ ინსტიტუციას აქვს ძალიან კარგი, ადეკვატური მიდგომები და სამეცნიერო კვლევითი პოტენციალის შეფასების მექანიზმები. ასევე ხაზი გაუსვა, ანგლისტიკის, გერმანისტიკის, რომანისტიკისა და რუსისტიკის საგანმანათლებლო პროგრამების მაღალკვალიფიციურ აკადემიური და მოწვეული პერსონალს. აქვე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს დაფინანსების მოძიების ეფექტური სისტემა, ხდება თანხების გონივრული გადანაწილება მომგებიან და არა მომგებიან დარგებს შორის, რაც მნიშვნელოვანია ინსტიტუციის სტრატეგიული განვითარებისა და ქვეყანაში ჰუმანიტარული დარგების მხარდაჭერისთვის. ექსპერტმა, ასევე, ისაუბრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ ხარისხის უზრუნველყოფის მოქმედ სისტემაზე, რომელიც არის მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული. 1 წლის განმავლობაში ექსპერტებმა ნახეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემოტანილი და დანერგილი ისეთი მექანიზმები, რომლებიც წინა ვიზიტის დროს არ არსებობდა. ექსპერტების მხრიდან, ხაზი გაესვა სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიურ ჩართულობასა და თანამშრომლობას ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში. ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ დადებითად და ეფექტურად შეაფასა, რომანისტიკის პროგრამის საერთაშორისო თანამშომლობის გამოცდილებას მონტელიეს უნივერსიტეტთან.
ექსპერტთა ჯგუფის თქმით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს საუკეთესო პრაქტიკა, რაც შესაძლოა სხვა უნივერსიტეტებმა გადაიღონ და გამოიყენონ. ეს არის უნივერსიტეტში არსებული შიდა მექანიზმი. აღინიშნა, მოწვეული ლექტორების ლექციებზე დაკვირვებაც , როგორც კოლეგიალური ურთერთშეფასების მექანიზმი. ექსპერტებმა დააფიქსირეს მოსაზრება, რომ მათ დაინახეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციფიკური და რთული მექანიზმის ეფექტიანი იმპლემენტაცია. ექსპერტებს საუკეთესო პრაქტიკად მიაჩნიათ მოწვეული ლექტორების ჩართულობა “ერაზმუსის” პროგრამაში, რაც ზრდის მოწვეული პერსონალის მხრიდან უნივერსიტეტის მიმართ კუთვნილების განცდას , რაც კარგად აისახება სწავლების პროცესზე. საუკეთესო პრაქტიკად ჩაითვალა, ასევე, ადმინისტრაციული მხარდაჭერა რიდერების მომზადების პროცესში.
რაც შეეხება რეკომენდაციებს, ექსპერტმა ჯგუფმა საბჭოსა და დამსწრე აუდიტორიას გაუზიარა თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები. აღინიშნა, რომ ანგლისტიკის, გერმანისტიკის, რუსისტიკისა და რომანისტიკის პროგრამებზე გაცემულია ორ-ორი რეკომენდაცია .

ექსპერტთა განმარტებით, ანგლისტიკის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, ერთი რეკომენდაცია შეეხება ინგლისური ენის სწავლების დროს, ცალკეულ შემთხვევებში სტუდენტების რაოდენობის რეგულირებას. მეორე რეკომენდაცია ეხება, ერთ-ერთ სასწავლო კურსში "ინგლისური ენა C1 Advanced" შეფასების კრიტერიუმების უფრო დეტალურად გაწერას.
გამოყენებითი გერმანისტიკის პროგრამასთან მიმართებით, გაიცა რეკომენდაცია, რომ ორ სასწავლო კურსს დაემატოს მეორადი წყაროები და ერთი კურსის „გერმანულ- ქართული თარგმანი"-ის სილაბუსში დაზუსტდეს სწავლის მიზნები, შედეგები და შეფასების მექანიზმები . რუსისტიკის შემთხვევაში, გაიცა რეკომენდაცია ორი სასწავლო კურსის სინტაქსისა და სტილისტიკის სწავლება მოხდეს სხვადასხვა სემესტრებში.
ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში, ერთ კურსთან დაკავშირებით ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ გახდეს სავალდებულო. ხოლო რამდენიმე კურსთან მიმართებით გაიცა წინაპირობების დაზუსტების რეკომენდაცია .
ასევე ექსპერტებმა გასცეს რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც ეხება, როგორც ანგლისტიკის, ასევე, რომანისტიკის სამაგისტრო პროგრამებს. ეს არის ზეპირი გამოცდის შეფასების რუბრიკები, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა და მაგისტრანტთა თანაფარდობის საკითხი. სხდომაზე განიმარტა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმოადგინა სამაგისტო ნაშრომის კონცეფციის განახლებული ვერსია, რაც ექსპერტების მხრიდან რეკომენდაციის გათვალისწინებად მოიაზრება.
რაც შეეხება რჩევებს , ექსპერტებმა გასცეს რჩევა ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის საერთაშორისო კონფერენციებში ჩართულობასთან დაკავშირებით. ცალკეულ შემთხევებში ექსპერტებს ჰქონდათ რჩევა სახელმძღვანელოების განახლებასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფმა ხაზი გაუსვა, კოლეგიალური შეფასების პროცესში აკადემიური პოზიციის მქონე პერსონალის მონაწილეობას. ცალკეულ სილაბუსებთან დაკავშირებით გაიცა ჩანაწერის დაზუსტების რჩევა. ექსპერტთა ჯგუფმა გერმანისტიკისა და რუსისტიკის პროგრამებთან მიმართებაში, რჩევის სახით ყურადღება გაამახვილა გარე დაფინანსების მოპოვების პროცესის გაძლიერებასთან დაკავშირებით. რომანისტიკის შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მნიშვნელოვანია გაძლიერდეს თანამშრომლობა სკოლებთან. რუსისტიკის შემთხვევაში კი იყო რჩევა გაძლიერდეს და/ან აღდგეს თანამშრომლობა ევროპულ უნივერსიტეტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ დაწესებულების პოზიცია რეკომენდაციებთან დაკავშირებით ასახულია დოკუმენტებში .
პროგრამის ხელმძღვანელმა, ლევან ცაგარელმა გააკეთა განმარტება ერთ-ერთ კურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ კურსს უძღვება ანა კორძაია- სამადაშვილი, რომელიც არის მწერალი აქვს კონკრეტული ხედვა ამ კურსთან დაკავშირებით . მისი აღქმით, ეს არის ვიწრო და პრაქტიკული კურსი, რომლის მიზანიც არის არა ის როგორ დაიწეროს კარგი ლიტერატურული ტექსტი ,არამედ როგორ არ უნდა დაიწეროს ცუდი ლიტერატურული ტექსტი . საქმე ეხება ინდუქციურ მიდგომას . მიუხედავად იმისა, რომ უამრავი სახელმძღვანელო არსებობს ყველა შესაძლო ევროპულ ენაზე, ლექტორს პრინციპულად არ უნდა ამ სახელმძღვანელოების გამოყენება და ცდილობს სტუდენტს მისცეს მეტი შემოქმედებითი თავისუფლება . პროგრამის ხელმძღვანელის შეფასებით, ამ კურსის მიზანი სწორედ რომ შემოქმედებითი უნარის განვითარებაა. კურსის ხელმძღვანელი ცდილობს მეტად მისცეს სტუდენტებს საშუალება თავად გამოხატონ საკუთარი სათქმელი და სემინარზე განიხილონ თითოეული შეცდომა. სწორედ ამ შეცდომებზე სწავლობენ . პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე დაამატა, რომ შესაძლოა სილაბუსში ჩაწერონ უამრავი სახელმძღვანელო, მაგრამ ამით სურათი არ შეცვლება. ლევან ცაგარელის თქმით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორები სარგებლობენ

აკადემიური თავისუფლებით. შესაბამისად, აქვთ უფლება ისე ააწყონ კურსი როგორც თავად სურთ. რაც შეხება სახელწოდებას, „ლიტერატურული კრიტიკა“, სახელწოდება სხვა ასოციაციებს იწვევს, მაგრამ საქმე ეხება არა იმდენად კრიტიკის ისტორიას და/ან ლიტერატურათმცოდნეობას , რამდენადაც იმას, რომ სტუდენტს განუვითაროს კრიტიკული მიდგომის და კრიტიკული შეფასების უნარი. სტუდენტები, კრიტიკოსების როლში ეცნობიან ტექსტებს და ცდილობენ შეაფასონ ეს ტექსტები. ამ მიმართულებით სახელმძღვანელოები დიდად არ არსებობს, არსებობს ლიტერატურული კრიტიკის ისტორიები, არსებობს ლიტერატურული კრიტიკის ზოგადი ისტორიები . პროგრამის ხელმძღვანელმა ისიც აღნიშნა, რომ ლექტორს აქვს პრაქტიკაზე ორიენტირებული მიდგომები , რათა კრიტიკული აზროვნების უნარები განივითაროონ სტუდენტებმა. ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ გააკეთა კომენტარი პროგრამის ხელმძღვანელის, ლევან ცაგარელის განხილვასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საქმე ეხება პრაქტიკულ კურსს, რომელთა დაკავშირებითაც დიდი თეორიული საფუძვლები არსებობს. ასეთ შემთხვევაში, სასურველია სტუდენტს ჰქონდეს საშუალება თეორიულადაც გაეცნოს მასალას. თეორიული მომზადება არ გამორიცხავს, რომ სტუდენტს უმუშავდება პრაქტიკული უნარები . ექსპერტმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ სწორედ ზემოხსენებული გარემოება მიაჩნია განსხვავებად პროფესიულ და უმაღლეს განათლებას შორის . საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს თავჯდომარე დაინტერესდა, კურსის ფარგლებში სწავლის შედეგების მიღწევის საკითხით. ექსპერტმა დააზუსტა, რომ გაჩნდა კითხვა რამდენად არის გამოყენებული უმაღლესი განათლების საფეხურის შესაბამისი მეთოდიკა, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს თეორიული საფუძვლების სწავლებას და შემდეგ უკვე მის პრაქტიკულ გამოყენებას .

ანგლისტიკის პროგრამის ხელმძღვანელმა, რეზო მარსაგიშვილმა აღნიშნა, რომ აკრედიტაცია მნიშვნელოვანი პროცესია ნებისმიერი უნივერსიტეტისთვის და ისაუბრა ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამის წინაპირობებთან დაკავშირებით. პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ გაცემულ რეკომენდაციას სამ კატეგორიად დაყოფდა: „სამეცნიერო ტექსტის აგების ტექნიკა“, ეს არის სავალდებულო კურსი, რომელსაც პრაქტიკულად სტუდენტები, ისედაც მესამე კურსზე ირჩევენ, რადგანაც სჭირდებათ გავლილი ჰქონდეთ გარკვეული თეორიული მასალები. კურსს სავალდებულო სტატუსი აქვს, რაც იმთავითვე მოითხოვს სტუდენტებისგან თეორიული საგნების გავლას, ამიტომ არ მიუთითეს დაშვების წინაპირობები. აღინიშნა ისიც, რომ ეს რეკომენდაცია ნადვილად გასათვალისწინებელია. რაც შეეხება ინგლისური ენის დონეს, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მისაღები გამოცდების დროს ენის დონეს ამოწმებდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ სტუდენტები უნდა ფლობდნენ B2 დონეს. აქედან გამომდინარე, შეიძლება არ იყო კონკრეტულად მითითებული, რადგანაც ეს პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარეობს, რომ სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ B2 დონე. რაც შეეხება დანარჩენ ორ კურსს, რეზო მარსაგიშვილმა თქვა, რომ ამ კურსებს პროგრამაში არჩევითი სტატუსი აქვს. არჩევითი სტატუსის გათვალისწინებით, პროგრამის ხელმძღვანელმა ეჭვქვეშ დააყენა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენადაა აუცილებელი არჩევითი კურსებისთვის წინაპირობის მითითება. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჟვანიამ დაამატა, რომ ამ კურსებზე დაშვების შეზღუდვა არ მიიჩნიეს მიზანშეწონილად, რადგან უნდა არსებობდეს შესაძლებლობა ეს კურსები მოერგოს სხვადასხვა სტუდენტებს და განსხვავებულ საჭიროებებს . ამასთან, აღინიშნა ისიც, რომ ზემოხსენებული კურსების გარდა, პროგრამაში კიდევ არსებობს სხვა არჩევითი კურსები. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს თავჯდომარე დაინტერესდა პროგრამის სხვა არჩევითი კურსებით. ამასთან დაკავშირებით, გაკეთდა განმარტება, რომ ეს კურსებია: „კომპიუტერული ლინგვისტიკა“, „ტექსტის ანალიზი და მეგა მონაცემთა დამუშავება“. ეს კურსები არის გამოყენებითი ენათმეცნიერების პროგრამიდან აღებული და ამიტომ პროგრამამ არ შეზღუდა დაშვების წინაპირობები, იმ მიზნით, რომ მაქსიმალურად შესაძლებელი ყოფილიყო დასახელებული კურსების არჩევა .

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის კრიტერიუმებს, აღინიშნა, რომ ეს ტექნიკური ხარვეზი იყო. დაწესებულების მიერ გაგზავნილ დოკუმენტებში გაწერილია ეს კრიტერიუმები და შეფასების მექანიზმები .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ დასვა რამდენიმე შეკითხვა რუსისტიკის საბაკალავრო საგანანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასა და წინარე ცოდნასთან დაკავშირებით, კერძოდ, ის დაინტერესდა, თუ რამდენად ლოგიკურად იყო აგებული სავალდებულო ბლოკში სასწავლო კურსები, მან იგულისხმა ის გარემოება, რომ რუსული ენის მორფოლოგიის შესწავლა უსწრებდა რუსული ენის ლექსიკოლოგიისა და რუსული ენის ფონეტიკის შესწავლას, რაც არასწორად მიიჩნია და არღვევდა პროგრამის სტრუქტურასა და ლოგიკურ ჩარჩოს. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის სტრუქტურაში არსებობს სავალდებულო/არჩევითი ბლოკი და ითხოვა დაზუსტება, თუ რა პრინციპით იყო აგებული. ასევე საბჭოს წევრმა დასვა შეკითხვა იმ გარემოებასთან დაკავშირებით, თუ რატომ იყო არჩევით ბლოკში მოცემული პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს მთავარი სასწავლო კურსები, იგულისხმებოდა სამიზნე ენის შემსწავლელი კურსები-რუსული ენის პრაქტიკული კურსების ხუთივე დონე და რატომ იყო სავალდებულო ბლოკში მოცემული მხოლოდ რუსული ენის პრაქტიკული კურსის ბოლო მე-6 B2.2 დონე. არდა ამისა, მან დასვა კითხვა, თუ რატომ იყო არჩევითი სტატუსის მატარებელი ისეთი მნიშვნელოვანი კურსები: საბაკალავრო ნაშრომის პროექტი, თარგმანის კურსი და ა.შ. მაკა კაჭარავამ ასევე ისაუბრა სავალდებულო სასწავლო კურსებში მოცემულ მოძველებულ და არა რელევანტურ სავალდებულო ლიტერატურაზე, კერძოდ, მან დაასახელა B2.1 და B2.2 დონის რუსული ენის სასწავლო კურსები და აღნიშნა, რომ ორივე სასწავლო კურსში მოცემული სავალდებულო ლიტერატურა იყო მოძველებული და არ შეესაბამებოდა აღნიშნულ დონეს. ორივე სახელმძღვანელო იყო ენის კომპეტენციის B 1 დონისთვის.

ლევან ცაგარელმა ისაუბრა ენის კურსების სავალდებულო სტატუსზე და თქვა, რომ პროგრამის სტრუქტურის აღწერა დართულია ყველა პროგრამის აღწერაში. კურიკულუმში დეტალურად არის აღწერილი სტუდენტისთვის რომელ ეტაპზე რა საგნები არის სავალდებულო , არჩევითი თუ ა.შ. ყველა უცხო ენის ფილოლოგიის პროგრამაში გაწერილია, რომ სტუდენტმა აუცილებლად უნდა დაასრულოს პროგრამა ენის B2 დონით . იმისთვის, რომ დაიფაროს B2 დონე, საჭიროა დანარჩენი საფეხურები დაძლიოს. შესაბამისად, ეს არის ეტაპობრივი და სტუდენტი ამის შესახებ ინფორმირებულია . რაც შეხება იმ ფაქტს, რომ ენის კურსები არ არის სავალდებულო სტატუსის, ლევან ცაგარელმა აღნიშნა, რომ ჰყავთ სხვადასხვა წინარე ცოდნის მქონე სტუდენტები. პროგრამაზე მოდიან A1 , A2 და ნულოვანი წინარე ცოდნის მქონე სტუდენტები. იმისთვის, რომ მოქნილობა უზრუნველყონ ამ ვითარებაში და ყოველ ჯერზე არ მოხდეს ინდივიდუალური პროგრამების შექმნა, ამიტომ ენის კურსებს აქვს არჩევითი სტატუსი . ლევან ცაგარელმა ასევე, დაამატა, რომ ისინი სტუდენტებს არ აიძულებენ გაიარონ A1 დონე, მაშინ როცა შესაძლოა მათ B2 ენობრივი კომპეტენცია აქვთ.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფრომა, ნინო ჟვანიამ გააკეთა კომენტარი პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით და თქვა, რომ პროგრამებში ენის კურსის კომპონენტად მიჩნეულია ის კომპეტენცია რაც სწავლის შედეგებშია გაწერილი.

რუსისტიკის საბაკალავრო, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ირინა ლორთქიფანიძემ ისაუბრა კურსების თანმიმდევრობასთან დაკავშირებით და თქვა , რომ პროგრამის სტრუქტურა, ისეა გაწერილი, რომ სტუდენტს შეუძლია თითოეულ სემესტრში გარკვეული კურსები აირჩიოს. პროგრამაში ზუსტად, სავალდებულო ჭრილში არ არის გაწერილი კონკრეტულად რომელი კურსი უნდა შეისწავლოს სტუდენტმა ერთ სემესტრში და რომელი მეორეში. პროგრამის ხელმძღვანელმა საკითხის განხილვისას მოიყვანა მაგალითიც და აღნიშნა, რომ პროგრამაში ზუსტად არ არის გაწერილი, რომ სტუდენტმა აუცილებლად უნდა გაიაროს მორფოლოგიის კურსი და შემდეგ გაიაროს ლექსიკოლოგია. ექსპერტთა ჯგუფის

წევრმა, მარინა არაშიძემ დააფიქსირა საკუთი პოზიცია და თქვა, რომ ინსტიტუციის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო, კურსების სემესტრული განაწილება, სადაც აღნიშნული იყო, რომ ჯერ სტილისტიკა ისწავლებოდა შემდეგ სემესტრში კი სინტაქსი. ამის მიზეზად, დაწესებულებამ ტექნიკური ხარვეზი დაასახელა . ექსპერტის აზრით, ამ შემთხვევაში, კურსების განლაგება ალოგიკურია, კურსების არჩევის პრინციპი პროგრამაში უნდა იყოს მოცემული . რუსისტიკის პროგრამის ხელმძღვანელის განცხადებით, ილიას სახელწმიფო უნივერსიტეტში საგნების გადანაწილება და არჩევა თავისუფალია. მან ხაზი გაუსვა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი იყო სარეკომენდაციო ხასიათის სემესტრული გადანაწილების სქემა, რადგან პროგრამაზე სტუდენტები სხვადასხვა ენობრივი ცოდნით მიდიან და სტუდენტებს რეკომენდაციას ყოველთვის პირადად უწევენ. ირინა ლორთქიფანიძის თქმით, სტუდენტს ენობრივი ცოდნიდან გამომდინარე შეუძლია გაიაროს ესა თუ ის კურსი. მათთან მნიშვნელოვანია თავისუფლება, რომელიც არჩევითობაშია. არის მათთან მნიშვნელოვანი . პროგრამის ხელმძღვანელის შეფასებით, წარმოდგენილი უნდა იყოს ბლოკი, სადაც არის სავალდებულო , სავალდებულო არჩევითი და არჩევითი კურსები. საბჭოს წევრმა, მაკა ქარჩავამ, დასვა შეკითხვა დაძლევის პრინციპის დარღვევასთან დაკავშირებით სავალდებულო კურსების ბლოკში და ამას ისიც დაამატა, რომ არჩევითი კურსების ბლოკში წარმოდგენილია მხოლოდ 6 კრედიტი, რაც ბუნდოვანებას იწვევს.
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა, მაკა ლაშხიამ თქვა, რუსისტიკის მიმართულებით არ არის ბევრი სტუდენტი , მათთან მუშაობს, როგორც პროგრამის ექსპერტი, ასევე სასწავლო პროგრამის კოორდინატორი. მაკა ლაშხიას თქმით, კურსების განაწილებასთან დაკავშირებული რეკომენდაცია იქნება სრულად გათვალისწინებული და სემესტრულ გადანაწილებაში კურსები იქნება ისე მითითებული როგორც ეს არის რელევანტური შედეგზე გასასვლელად . მაკა ლაშხიამ გააკეთა განმარტება არჩევით ბლოკთან დაკავშირებით, რომ სტუდენტს შეუძლია არჩევითი კურსები გაიაროს მომიჯნავე დარგებიდან. საბჭოს წევრმა მაკა ქარჩავამ გააკეთა კომენტარი მაკა ლაშხია განხილვასთან დაკავშირებით და თქვა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში წერია „რუსისტიკის პროგრამის არჩევითი კურსი“, რაც გულისხმობს, რომ ძირითადი სფეროს არჩევით სასპეციალიზაციო კურსებზეა საუბარი. მაკა ლაშხიამ განმარტა, რომ ამ ეტაპზე რუსისტიკის საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგში უკვე გაწერილია არჩევითი კურსები და ხაზი გაუსვა, რომ ისინი სრულად იზიარებენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:44 სთ
დასრულების დრო: 16:22 სთ

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნინო ჟვანიამ შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 16 თებერვლიდან .

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ანგლისტიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო, საგანმანათლებო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება :

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ‘’ანგლისტიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)’’ საბაკალავრო, საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.
დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:
რეკომენდაციები:

- „ანგლისტიკის“ საბაკალავრო პროგრამაში პრაქტიკული ინგლისური ენის კურსებში დარეგულირდეს სტუდენტების რაოდენობა, რათა მოხდეს სამიზნე ენის შესწავლისთვის აუცილებელი პირობების შექმნა;
- „ანგლისტიკის“ საბაკალავრო პროგრამაში დეტალურად იქნას გაწერილი ინგლისურენოვანი დისკურსის, ინგლისური ენა - C1 Advanced შეფასების კრიტერიუმები.

რჩევები:

- „ანგლისტიკის“ საბაკალავრო პროგრამის მიზნებში ჩაემატოს ინგლისური ენის B2 დონე ერთიანი სარეკომენდაციო ევროპული ჩარჩოს მიხედვით, რათა პროგრამის მიზნები უფრო ნათლად იყოს ჩამოყალიბებული;
- განახლდეს „ანგლისტიკის“ საბაკალავრო პროგრამის ზოგადი ინგლისური ენის კურსების სილაბუსებში მითითებული სახელმძღვანელოები.
- „ანგლისტიკის“ საბაკალავრო პროგრამის ინგლისურენოვანი დისკურსის სილაბუსებში სახელმძღვანელოებს მიეთითოს გამოცემის წლები;
- სასურველია პროგრამების გარე შეფასება განხორციელდეს არამხოლოდ დარგობრივი ორგანიზაციების, არამედ აკადემიური წრის წარმომადგენლების მიერაც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,, გამოყენებითი გერმანისტიკის‘’ (ძირითადი და დამატებითი სპეციალობის)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8

მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,, გამოყენებითი გერმანისტიკის“ (ძირითადი და დამატებითი სპეციალობის)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.
დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:
რეკომენდაციები:

- „გამოყენებითი გერმანისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში „შემოქმედებითი წერისა“ და ,,ლიტერატურული კრიტიკის“ სილაბუსებში ძირითად ლიტერატურას დაემატოს მეორადი წყაროებიც - სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურა, რათა უზრუნველყოფილ იქნას სწავლის შედეგების მიღწევა.
- გამოყენებითი გერმანისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში „გერმანულ-ქართული დარგობრივი თარგმანის“ სილაბუსში დაზუსტდეს და ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს მიზნები, შედეგები და შეფასების მექანიზმი.

რჩევები:

- „გამოყენებითი გერმანისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობაში/სტრუქტურაში/სასწავლო კურსების სილაბუსებში აისახოს დამკვიდრებული პრაქტიკა და დეტალურად გაიწეროს ენის ცოდნის აღიარების მექანიზმები (საერთაშორისო სერთიფიკატი, შიდა საუნივერსიტეტო ტესტი და სხვა), რაც დაეხმარება სტუდენტს დაუბრკოლებლად აირჩიოს მისთვის რელევანტური გერმანული ენის კურსი;
- გააქტიურდეს საქმიანობა და გამოყენებულ იქნას დამატებითი ინსტრუმენტები „გამოყენებითი გერმანისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების კონფერენციებსა და სწავლების საფეხურის შესაბამის სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში მეტად ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით;
- გამოყენებითი გერმანისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოხდეს გრანტების და სხვა რესურსების მოზიდვა პროგრამების დამატებითი ფინანსური რესურსებით უზრუნველსაყოფად;
- სასურველია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს არამხოლოდ დარგობრივი ორგანიზაციების, არამედ აკადემიური წრის წარმომადგენლების მიერაც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "საფრანგეთისმცოდნეობის'' საბაკალავრო, საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "საფრანგეთისმცოდნეობის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რჩევები:

- „საფრანგეთისმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაძლიერდეს კომუნიკაცია სხვადასხვა კერძო თუ საჯარო სკოლასთან, კერძოდ, სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებთან მათთვის პროგრამის გაცნობისა და პროგრამაზე მათი მოზიდვის და სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მიზნით;
- „საფრანგეთისმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში უფრო მეტად გაძლიერდეს პრაქტიკის კომპონენტი დასაქმების ბაზართან ურთიერთთანამშრომლობით, რათა სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მოკლევადიანი, კურიკულუმს გარე პრაქტიკა/სტაჟირება გაიარონ სხვადასხვა პროფილის დაწესებულებაში, რაც ხელს შეუწყობს მათი პრაქტიკული და აგრეთვე ტრანსფერული უნარების მეტად განვითარებას;
- „საფრანგეთისმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაფორმდეს მემორანდუმები სხვადასხვა კერძო თუ საჯარო სკოლასთან, ენების ცენტრთან თუ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, სადაც განსაზღვრული იქნება თანამშრომლობის მიზანი, შედეგები, ხანგრძლივობა და სტუდენტების რაოდენობა;
- „საფრანგეთისმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოხდეს გარედან გრანტების და სხვა რესურსების მოზიდვა პროგრამების დამატებითი ფინანსური რესურსებით უზრუნველსაყოფად;
- სასურველია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს არამხოლოდ დარგობრივი ორგანიზაციების, არამედ აკადემიური წრის წარმომადგენლების მიერაც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ **-** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "რუსისტიკის“ (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" აკრედიტაციის საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება :

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ‘’რუსისტიკის‘’ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 18 თვის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:

რეკომენდაციები:

- რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამაში მოხდეს თავდაპირველად რუსული ენის სინტაქსის, ხოლო შემდეგ რუსული ენის სტილისტიკის სწავლება და აღნიშნული საკითხი დარეგულირდეს შესაბამისი სასწავლო კურსების წინაპირობებით;

- რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამაში განახლდეს სასწავლო კურსის - „სლავური ენების შედარებითი გრამატიკა“ - მიზნები, შედეგები და შინაარსი, დაემატოს სლავური გრამატიკული სისტემების თავისებურებანი, რათა უზრუნველყოფილ იქნას მიზნების, შედეგების და საგნის შინაარსის შესაბამისობა მის სახელწოდებასთან.
- პროგრამის სტრუქტურის თანმიმდევრულობის უზრუნველყოფის, შინაარსობრივად განვითარებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის მიზნით რეკომენდებულია პროგრამაში ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტში შემავალი სასწავლო კურსები აიგოს ლოგიკურად და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები იყოს ადეკვატური წინარე ცოდნის გათვალისწინებით.
- რეკომენდებულია სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა განახლდეს უახლესი გამოცემებით, შესაბამისობაში მოვიდეს კურსის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან, მისაღწევ ენობრივ დონესთან (მაგ. რუსული ენის პრაქტიკული კურსები (B 2.1, B.2.2).

რჩევები:

- რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამის მიზნებში აისახოს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის საკითხები;
- რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამის აღწერილობაში უფრო მკაფიოდ გაიწეროს სწავლის შედეგები პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კრიტერიუმის გათვალისწინებით;
- რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამის აღწერილობაში წარმოდგენილ იქნას მეტი ინფორმაცია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურისა და საგნების არჩევის პრინციპების შესახებ;
- სასურველია, უზრუნველყოფილ იქნას ევროპის სლავურ ქვეყნებთან ურთიერთობების დამყარება-განმტკიცება რუსისტიკა-სლავისტიკის მიმართულებით, მათ შორის პოლონური ენის სწავლების მიმართულებით უნივერსიტეტში უკვე არსებული პოზიტიური გამოცდილების გათვალისწინებით;
- სასურველია, რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტების მეტი ჩართულობა;
- გააქტიურდეს საქმიანობა და გამოყენებულ იქნას დამატებითი ინსტრუმენტები რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამების სტუდენტების კონფერენციებსა და სწავლების საფეხურის შესაბამის სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში მეტად ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით;
- რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მოხდეს გარედან გრანტების და სხვა რესურსების მოზიდვა პროგრამების დამატებითი ფინანსური რესურსებით უზრუნველსაყოფად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ანგლისტიკის“ (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" სამაგისტრო, საგანმანთლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება :

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 275 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 276 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად:სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ''ანგლისტიკის'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:

რეკომენდაციები:

- „ანგლისტიკის" სამაგისტრო პროგრამაში დარგობრივ თარგმანთან დაკავშირებული სასწავლო კურსი გახდეს სავალდებულო, რათა უზრუნველყოფილ იქნას ინგლისურიდან ქართულ ენაზე დარგობრივი ტექსტების თარგმანის უნარის გამომუშავება;
- „ანგლისტიკის" სამაგისტრო პროგრამაში დაზუსტდეს დაშვების წინაპირობები შემდეგ სასწავლო კურსებზე:

  1. „სამეცნიერო ტექსტის აგების ტექნიკა";
  2. „ანგლო-ამერიკული ლიტერატურული კრიტიკის ისტორია";
  3. „კომპიუტერული ლინგვისტიკა: ტექსტის ანალიზი";
  4. "ტექსტის ანალიზი და მეგა-მონაცემთა დამუშავება: სახელობითი ერთეულების ამოცნობა";

- „ანგლისტიკის" სამაგისტრო პროგრამის ინგლისური ენის პრაქტიკულ კურსებში C1.1 და C1.2 განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა. "
- დეტალურად გაიწეროს „ანგლისტიკის" სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები ზეპირი გამოცდის შეფასების რუბრიკა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად;
- „ანგლისტიკის" პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში დეტალურად გაიწეროს ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები, კერძოდ, განისაზღვროს შეფასების განსხვავებული დონეების შესაბამისი კონკრეტული მახასიათებლები;
- შემუშავებულ იქნას სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა და მაგისტრანტთა თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

რჩევები:

- გააქტიურდეს საქმიანობა „ანგლისტიკის" სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ''რომანული ფილოლოგის '' (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება :

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 275 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 276 მუხლის პირველი პუნქტის

„ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ‘’რომანული ფილოლოგის ‘’ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:

რეკომენდაციები:

- დეტალურად გაიწეროს რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები წერითი და ზეპირი მისაღები გამოცდის შეფასების რუბრიკა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად;
- რომანული ფილოლოგიის პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში დეტალურად გაიწეროს ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები, კერძოდ, განისაზღვროს შეფასების განსხვავებული დონეების შესაბამისი კონკრეტული მახასიათებლები;
- შემუშავებულ იქნას სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა და მაგისტრანტთა

თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

რჩევები:

- ილიას სახელწიფო უნივერსიტეტმა მჭიდროდ ითანამშრომლოს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურასთან (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო), რათა აღმოიფხვრას საკანონმდებლო დონეზე არსებული, კლასიფიკატორიდან გამომდინარე ბარიერი რომანისტიკის მიმართულებით ერთობლივი საერთაშორისო პროგრამის განსახორციელებლად;
- გააქტიურდეს საქმიანობა რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით;
- რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მოხდეს გარედან გრანტების და სხვა რესურსების მოზიდვა პროგრამების დამატებითი ფინანსური რესურსებით უზრუნველსაყოფად.

3.მესამე საკითხი: შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის "კერძო სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კერძო სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	

		აკრედიტებულია, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 23 ივლისის №170 გადაწყვეტილებით
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	კერძო სამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი, 0421
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო. ქ. თბილისი, სამღერეთის ქუჩა N5
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ განაცხადა, რომ შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა "კერძო სამართლის" და ''სისხლის სამართლის '' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე არაგეგმური მონიტორინგი. დაწესებულებისთვის განსაზღვრული იყო 60 დღიანი ვადა რეკომენდაციების გამოსასწორებლად . გაცემული 5 რეკომენდაცია ძირითადად შეეხებოდა I და II სტანდარტებს .

კერძოდ, 1.3 და 1.5 და 2.1 კომპონენტებს. ექსპერტთა განმარტებით, დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაციები ორივე პროგრამასთან მიმართებით ზედმიწევნით შეასრულა, წარმოადგინა ანგარიშები და შესაბამისი დოკუმენტაცია, რაც ასახულია ექსპერტთა დასკვნაში .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კერძო სამართლის საგანმანათლებლო პროგრამაზე მათ ჰქონდათ 4 რეკომენდაცია. ასევე მიიღეს რეკომენდაციები სისხლის სამართლის პროგრამასთან მიმართებით. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით საუბარი იყო სწავლის შედეგების დონეების პროგრამაში ასახვაზე . მათ ეს დანართის სახით ჰქონდათ, მაგრამ თავად პროგრამაში განსხვავებული ცხრილის სახით იყო წარმოდგენილი. შესაბამისად ეს რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა. მეორე რეკომენდაცია შეეხებოდა ინგლისური ენის B2 დონის ფლობას. რეკომენდაცია ითვალისწინებდა, რომ პროგრამას უნდა შეეთავაზებინა არჩევით ბლოკში სხვა ენებიც, რომელთა ცოდნის დადასტურებით შესაძლებელი იყო პროგრამაზე დაშვება. ამ საკითხზეც იმსჯელა პროგრამის განმავითარებელმა ჯგუფმა და მიიღეს გადაწყვეტილება მხოლოდ ინგლისური ენა დაეტოვებინათ, რადგან სასწავლო კურსების უმრავლესობა არჩევით ბლოკში შეთავაზებული იყო ინგლისურ ენაზე . აქვე აღინიშნა , რომ შემდეგი რეკომენდაციაც გათვალისწინებულია, ჩასწორდა „ბავშვის უფლებები და საერთაშორისო გარანტიები“ კურსის სილაბუსი და დაემატა შესაბამისი ლიტერატურა. რაც შეეხება პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ მემორანდუმებს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმდა ახალი მემორანდუმები. მემორანდუმები გაფორმდა რაიონული სასამართლოსთან, უზენაეს სასამართლოსთან და სააპელაციო სასამართლოსთან , ასევე აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ ყოფილა .

საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა, რომ მე-4 საკითხიც განეხილათ და სათათბირო შესვენება შემდეგ გამოეცხადებინათ, რასაც დამსწრე პირები დაეთანხმნენ.

4 . მეოთხე საკითხი: შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის "სისხლის სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სისხლის სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 15 ოქტომბრის №137 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი სისხლის სამართალში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი, 0421
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო. ქ. თბილისი, სამღერეთის ქუჩა N5
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ზვიად როგავამ თქვა, რომ ამ პროგრამაზეც ზუსტად იდენტური რეკომენდაციები გაიცა , შესაბამისად ყველა რეკომენდაცია შესრულებულია .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ იგივე შეფასება, აქვს რაც წინა საკითხთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ ყოფილა .

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:30 სთ
დასრულების დრო:16:32 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის "კერძო სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო

პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 13

მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება : „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27 -ე მუხლის პირველი 2 პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის "კერძო სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე .

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის "სისხლის სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე:13

მოწინააღმდეგე:0

გადაწყვეტილება : „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27 -ე მუხლის პირველი 2 პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის "სისხლის სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე .

5.შპს გურამ თავართქილაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო, საგანმანათლებლო პროგრამისთვის 6-თვის თავზე ანგარიშის წარდგენის ვალდებულების საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში ცენტრი) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა დააყენა შუამდგომლობა შპს გურამ თავართქილაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „ტურიზმის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო, საგანმანათლებლო პროგრამისთვის 6-თვის თავზე ანგარიშის წარდგენის ვალდებულებასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენლის

განმარტებით, შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტმა 2023 წლის 13 თებერვალის №01-09/12 (ცენტრში რეგისტრაციის №166942) წერილით გამოითხოვა ინფორმაცია, იმის შესახებ ჰქონდა თუ არა „ტურიზმის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამისთვის 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულება, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პროგრამამ 2022 წლის 01 ნოემბრის №MES 122 0001385357 გადაწყვეტილებით მიიღო აკრედიტაცია 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით, თუმცა ამასთანავე დასახელებული პროგრამა ჩართულია მიმდინარე კლასტერული აკრედიტაციის პროცესში. ცენტრის წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს განეხილათ ზემოაღნიშნული საკითხი.
სხდომაზე დამსწრე წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილ შუამდგომლობაზე, ასევე დააზუსტეს, რომ შპს გურამ თავართქილაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს "ტურიზმის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 2023 წლის 16 თებერვალს წარმოდგენილი ჰქონდა სააკრედიტაციო განაცხადი. აღნიშნული გარემოებების შესწავლის შედეგად, სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს კენჭისყრაზე დააყენონ „ტურიზმის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულების მოხსნის შესახებ, რადგან აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პერიოდში ისედაც მიხდებოდა გაცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „ტურიზმის“ ინგლისურენოვანი, საბაკალავრო, საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით 6 თვის თავზე ანგარიშის წარდგენის ვალდებულების მოხსნის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე:13
მოწინააღმდეგე:0

გადაწყვეტილება :
შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს მოეხსნას „ტურიზმის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 2022 წლის 01 ნოემბრის №MES 122 0001385357 გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვალდებულება 6 თვის თავზე ანგარიშის წარდგენის შესახებ.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2023 წლის 16 თებერვლის 17:10 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით